ჭეშმარიტად, სამოთხეში არის შეკრების ადგილი, რომელსაც მაცხოვრებლები ყოველ პარასკევს ესწრებიან

ანას იბნ მალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, სამოთხეში არის შეკრების ადგილი, რომელსაც მაცხოვრებლები ყოველ პარასკევს ესწრებიან. იქ უბერავს ჩრდილოეთის ნიავი, რომელიც ხვდება მათ სახეებსა და ტანსაცმელს, და ამის წყალობით მათი სილამაზე და მიმზიდველობა კიდევ უფრო იზრდება. შემდეგ ისინი ბრუნდებიან თავიანთ ოჯახებთან, უკვე მეტად დამშვენებულები და მიმზიდველები. მათი ოჯახის წევრები ეუბნებიან მათ: 'ვფიცავთ ალლაჰს, თქვენ კიდევ უფრო მშვენიერები და მიმზიდველები გახდით მას შემდეგ, რაც დაგვტოვეთ'. ხოლო ისინი პასუხობენ: 'ვფიცავთ ალლაჰს, რომ თქვენც კიდევ უფრო მშვენიერები და მიმზიდველები გახდით მას შემდეგ, რაც დაგტოვეთ'».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ სამოთხეში არის ერთი ადგილი, სადაც სამოთხის მკვიდრნი შეიკრიბებიან, იქ არ იქნება ყიდვა გაყიდვა (ვაჭრობა) არამედ აიღებენ იმას რაც მათ სურთ, ისინი აქ დაახლოებით ყოველ მეშვიდე დღეს მოვლენ, მათ დაუბერავს ჩრდილოეთის სიო, რომელიც მათ სახეებზე და ტანისამოსზე შეეხებათ, და მათ შეჰმატებს მშვენებას და სილამაზეს, ისინი თავიანთ ოჯახებს უფრო მეტად მშვენიერები და ლამაზები დაუბრუნდებიან, მათ ეტყვიან თავიანთი ოჯახის წევრები: ვფიცავართ ალლაჰს, ჩვენგან წასვლის შემდეგ უფრო მეტად შეგემატათ მშვენიერება და სილამაზე, და ისინიც ეტყვიან: ვფიცავართ ალლაჰს, თქვენც შეგემატათ ჩვენს შემდეგ მშვენიერება და სილამაზე.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/8353